N203 2015 წლის 11 მაისი ქ. თბილისი

„ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 მარტის №109 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 მარტის №109 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 12/03/2015, 300390000.10.003.018494) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. ორგანიზატორი/ადმინისტრატორი ვალდებულია, არა უგვიანეს 2015 წლის 15 მაისისა, საქართველოს მთავრობასთან გააფორმოს „თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის, მოწყობისა და ფუნქციონირების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 3 ივნისის №131 დადგენილებით განსაზღვრული, ურთიერთვალდებულებათა შესახებ ხელშეკრულება, თიზის ფუნქციონირების დაწყებიდან, 2020 წლის ჩათვლით განსახორციელებელ ვალდებულებებთან დაკავშირებით, ხოლო 2021 წლიდან, თიზის ფუნქციონირების ვადის ამოწურვამდე განსახორციელებელ

ვალდებულებებთან დაკავშირებით - არა უგვიანეს 2020 წლის პირველი დეკემბრისა.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 30 აპრილიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**